პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
სექტემბერი
4
სამშაბათი
მზე ამ. 5 ს. 17 წ.
მზე ჩად. 6 ს. 58 წ.
შესან. მოვლენათა დღიური

წლიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური
ფასი 3 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 357 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 100,000 მანეთი. № 357

საქართველოს მენშევიკურ პარტიასთან უნდა დასამარდეს საერთაშორისო მენშევიზმიც.

შვიდი დღის მუშაობის შემდეგ ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა დამთავრდა. ყრილობის ასეთი ხანგრძლივობა მოწმობს მას, რომ სანამ ის გადაადგამდა ისტორიულ მნიშვნელობის ნაბიჯს, მან ყოველ მხრივ შეაფასა მენშევიკური პარტიის წარსული, დღევანდელი მუშაობა და სთქვა თავისი საბოლოო სიტყვა.

მართლადაც ვინც თვალყურს ადევნებდა ხსენებულ ყრილობის მუშაობას ის ადვილად შეამჩნევდა, რა დიდი დაკვირვებით და მღელვარებით არჩევდა ყრილობა ისტორიის მიერ მის წინაშე წამოყენებულ საკითხებს.

მტკიცედ და გადაჭრით მან ამცნო მთელ ქვეყანას თავისი ურყევი გადაწყვეტილება.

მთელმა ყრილობამ წინააღმდეგ სამი ხმისა გამოაცხადა საქართველოს მენშევიკური პარტია გაუქმებულად და მოუწოდა თავის წევრებს კომუნისტური ინტერნაციონალის გარშემო შემოკრება.

მენშევიკური პარტიის ასეთ აღსასრულს აქვს ღრმა მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს ფარგლებში არამედ ის მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტია.

საერთაშორისო მენშევიზმის ერთ-ერთ ძლიერ ფრთას წარმოადგენდა საქართველოს სოციალ-დემოკრატია, რომელმაც პირველმა იკისრა თავის თავზე საერთო დემოკრატიის იდეის განხორციელება და „დემოკრატიულ სამოთხის“ დამყარება. მაგრამ როგორც ვიცით ქართველ მენშევიკების ცდამ სინამდვილეში სულ სხვა სახე მიიღო და ნაცვლად საერთო თანასწორობის და ძმობის ქვეყნისა მათი წყალობით საქართველო გადაიქცა იმპერიალიზმის ბრმა იარაღათ. მეორე ინტერნაციონალის ყვითელი ბელადები კაუცკი, ვანდერველდე, გუისმანსი და სხვა ხოტბასა და ქებას ასხამდენ მენშევიკების მიერ შექმნილ „დემოკრატიულ სამოთხეს“, უწინასწარმეტყველებდნენ მას ბრწყინვალე მომავალს.

რამდენად მათი პროგნოზი გამართლდა, ამას ჩვენ დღეს ნათლად ვხედავთ.

საერთო დემოკრატიის იდეია დამარცხდა არამც თუ აქ, ჩვენში, არამედ იქ, ევროპაშიც.

გაიხრწნა და დასამარხა არა მარტო საქართველოს მენშევიკური პარტია, არამედ ასეთივე რღვევის პროცესშია თვით საერთაშორისო მენშევიზმი.

დღითი-დღე, როგორც მუშათა უპარტიო მასები, ისე თვით სოციალ დემოკრატიის მუშათა ნაწილი რწმუნდებიან სოციალ-დემოკრატიის გაკოტრებაში და გარბიან მის რიგებიდან.

შორს არ არის ის დრო, როდესაც მენშევიზმის ლიკვიდაცია მოხდება მსოფლიო მასშტაბში და ამხედრებულ პროლეტარიატის ერთად ერთი ხელმძღვანელი და ბელადი გახდება მესამე კომინტერნი.

რაც ადრე მოხდება მსოფლიო მენშევიზმის ლიკვიდაცია მით მალე მიაღწევს თავის მიზანს მსოფლიო პროლეტარიატი.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

საბერძნეთში იტალიის სამხედრო წარმომადგენლობის წევრების მოკვლამ სერიოზული ხასიათი მიიღო. მუსოლინმა გაუგზავნა ულტიმატუმი საბერძნეთს და მოითხოვს მისგან დაკმაყოფილებას. ულტიმატუმი მეტად დამამცირებელია თავისი მოთხოვნილებით საბერძნეთისათვის, ის საბერძნეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვაა.

იტალიის მთავრობას საბერძნეთმა გაუგზავნა პასუხი და ზოგ მოთხოვნილებებს ცნობს მისაღებათ, ნაწილს კი ყოვლად მიუღებლად, რადგანაც ის საბერძნეთის სახელის გატეხა იქნება. აგრეთვე საბერძნეთი უარყოფს ბრალდებას, ვითომც იტალიის სამხედრო წარმომადგენლობის წევრების მკვლელობა მომხდარიყოს საბერძნეთის ძალა-უფლების წყალობით. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, მუსოლინი დაუკმაყოფილებლად თვლის საბერძნეთის პასუხს და იტალიის ფლოტი [illegible]

ევროპის ბევრი გაზეთები კონფლიქტს მეტად სერიოზულ ხასიათს აძლევენ და ამ მკვლელობას 1914 წელს სარაევოში მომხდარ მკვლელობას ადარებდენ და ომის დასაწყისათ თვლიან.

ასეთი შედარება იტალია—საბერძნეთის კონფლიქტის გადამეტებულია. ომი არ მოყვება ამას, მოკავშირეები ამის ნებას არ მისცემენ არც იტალიას და არც საბერძნეთს; თვით საბერძნეთის მდგომარეობა მეტად კრიტიკულია და ის, მეტიც რომ მოთხოვოს მუსოლინმა, დათმობაზე უნდა წავიდეს, მაგრამ ამ კონფლიქტს მაინც აქვს საერთაშორისო ხასიათი და მისი მოგვარება, თუ კიდევ უფრო გამწვავება დიდ ცვლილებებს შეიტანს საერთოდ ბალკანეთის და კერძოთ კი საბერძნეთის შინაურ ცხოვრებაში.

საქმე იმაშია, რომ საბერძნეთი და იტალია ძველი მტრები არიან ერთი მეორეს. ეს მტრობა მათ შორის სულ ეს ათასი წლები. ძველ დროს ამ ორ სახელმწიფოს შორის სწარმოებდა შეტაკებები და ეკონომიური ბრძოლა. დღესაც მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, მხოლოდ სახე და ფორმა მათი ურთიერთ დამოკიდებულების შეიცვალა, შინაარსი კი იგივე დარჩა.

დღეს მდგომარეობა მით უფრო რთულია, რომ იტალიის სათავეში დგას ფაშისტი—დიქტატორი მუსოლინი. საბერძნეთის და იტალიის შორის უმთავრესი დავის საგანია ხმელთა-შუა ზღვა. ორივე სახელმწიფო ცდილობს გაბატონდეს ამ ზღვაზე და განამტკიცოს თავისი სიძლიერე. ლოზანის კონფერენციაზე იტალიამ შესძლო კიდეც საბერძნეთისათვის წაერთმია პატარა კუნძულები, მაშინ, როდესაც აღნიშნულ კუნძულების ბატონ-პატრონობა საბერძნეთს უნდა დარჩენოდა. იტალია ცდილობდა დაეცა საბერძნეთის გავლენა და მან კიდეც იშოვა მიზეზი.

როგორც ავღნიშნეთ საბერძნეთის შინაური მდგომარეობა მეტად კრიტიკულია, რამოდენიმე წლების ომებმა დასცა და გაანადგურა ის, ეკონომიური კრახის წინ დგას საბერძნეთი. პარტიათა ბრძოლა თან და თან ძლიერდება და რეაქციამ თავი წამოყო. მთავრობა გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს მუშათა ორგანიზაციების და კომ. პარტიის წინაალმდეგ.

არც უკეთეს მდგომარეობაშია იტალია. ფაშისტების ბატონობა შერყეულია და ხალხის ფართე მასსებში დიდი უკმაყოფილოებაა მუსოლინის მოქმედების წინაალმდეგ.

საბერძნეთის ასეთ მდგომარეობის დროს, როდესაც მას ეპირება დასვენება და მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა, გამოდის იტალია მის წინაღმდეგ.

საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტი დიდ გართულებებით იმუქრება. ომი მოსალოდნელი არ არის, მაგრამ მდგომარეობა მაინც სერიოზული რჩება.

ს.

დეპეშები

— იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი თან და თან რთულდება. იტალიელებმა ოკუპაცია უყვეს კუნძულ კორფუს.

მოსალოდნელია იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი გადაიქცეს საერთაშორისო კონფლიქტად.

— სამხრეთ-სლავიის პრესა მხარს უჭერს საბერძნეთს და ჰგმობს იტალიის მოქმედებას.

— ლიბერალური პრესა ესალმება ინგლისის მთავრობის თანხმობას, ამხ. რაკოვსკის ს.ს.რ.კ. წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ.

— რუსეთ რუმინეთის მოლაპარაკება კარგად მიმდინარეობს.

საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტი.

დაწვრილებითი ცნობები კოფუს დაპყრობის შესახებ.

იტალიელები კუნძულ კორფუს ბომბარდიროვკას ხსნიან მით, რომ საბერძნეთის ნავთსადგურის უფროსმა უარი განაცხადა ჩაებარებია ნავთსადგური 5 საათისთვის, რის წინადადებაც მიეცა მას. კერძო ცნობების მიხედვით ბომბარდიროვკა დაუწყიათ წინადადების ვადის გათავებამდე—4 საათზე და გაგრძელებულა 50 წუთი. ლონდონში მიღებული ოფიციალური ცნობით კორფუს ბომბარდიროვკა მოახდინეს იტალიელებმა იმ მიზნით, რომ მისცემოდათ კუნძულზე საოკუპაციო ჯარების გადმოსხმის საშვალება.

ჰაეროპლანების მოქმედება.

ათინიდან მიღებული ცნობებით იტალიელების მიერ კორფუს ბომბარდიროვკის დროს ქ. კორფუზე დაფრინავდენ იტალიის ჰაეროპლანები რომელნიც ჰყრიდენ ბომბებს.

ოკუპაციის მსხვერპლნი.

კუნძულ კორფუს იტალიელების მიერ ბომბარდიროვკას შედეგათ მოჰყვა ორი ფორტის დაზიანება და ერთი სკოლის დანგრევა. ყველაზე მეტად დაზარალდენ სომხების ლტოლვილები, რომელნიც სცხოვრობენ უმთავრესი ფორტის მახლობლად. მოკლულია 15 ლტოლვილი.

რეპრესიები.

იტალიელებმა დაიკავეს რა კუნძული კორფუ დაატყვევეს 80 კაცი.

გუბერნატორის დანიშვნა.

იტალიის მთავრობამ დანიშნა კუნძულ კორფუს გუბერნატორად ადმირალი სომონეცი.

კუნძული კორფუ.

კუნძული კორფუ იონიის სხვა კუნძულებთან ერთად 1815 წ. გადავიდა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ. 1864 წ. ლონდონის 1863 ხელშეკრულების პირობების თანახმად, სხვა კუნძულებთან ერთად გადაეცა საბერძნეთს, ამასთან ერთად აღნიშნულ ხელშეკრულების მე-2რე მუხლის ძალით ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ავსტრიისა და პრუსიის თანხმობით თავს იდვეს კორფუს ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა.

კორფუს სტრატეგიული მნიშვნელობა.

„დეილი ტელეგრაფის განცხადებით, კუნძულ კორფუს აქვს დიდი ხმელეთის და საზღვაო სტრატეგიული მნიშვნელობა, ყველა დიდი სახელმწიფოებისათვის და კერძოთ ინგლისის საზღვაო ძლიერებისათვის და საბერძნეთის, ალბანიის და სერბიის უზრუნველყოფისათვის.

რა უნდა იტალიას.

„ვესტმინსტერ გაზეტ“ აღნიშნავს, რომ იტალიელების მიერ კორფუს დაპყრობის ნამდვილი მიზანი არის, რომ იტალიამ მოიპოვოს სრული ბატონობა ხმელთა შუა ზღვაზე.

საფრანგეთი იტალიის გამოსვლის შესახებ.

მემარჯვენე ელემენტები თავშეკავებით იწონებენ იტალიის ყოფაქცევას. რადიკალები და დემოკრატები სასტიკად ილაშქრებენ იტალიის ნოტის წინააღმდეგ. მემარცხენე პრესის ნაწილი ფიქრობს, რომ მუსოლინი სცდილობს საგარეო კონფლიქტების საშვალებით შინაური მძიმე მდგომარეობა დაჩრდილოს.

მუსოლინი სცდილობს ფრაზებით გავიდეს ფონს.

კორფუს დაკავების შემდეგ მუსოლინმა შეატყობინა უცხოეთის მთავრობებს, რომ ოკუპაცია არის დროებითი ზომა, ვინაიდან იტალიას არა სურს ომი და მხოლოდ იცავს თავის ღირსებას.

ინგლისს არ შეუძლია განზე დადგეს.

„დეილი ტელეგრაფის“ აზრით, ვინაიდან კუნძულ კორფუს აქვს დიდი სტრატებიული მნიშვნელობა და კერძოთ მნიშვნელოვანია ინგლისის ზღვაზე ბატონობისათვის, უკანასკნელს არ შეუძლია განზე დადგეს იტალია—საბერძნეთის კონფლიქტის საქმეში. ამრიგათ ეს კონფლიქტი ღებულობს საერთაშორისო ხასიათს.

მოსალოდნელია ბალკანეთში ახალ ომების გაჩაღება.

მიუხედავად იტალიის მტკიცებისა, რომ მას არა აქვს დაპყრობითი განზრახვა, ეჭვს გარეშეა, რომ მუსოლინს სურს დიდი ხნით დაიჭიროს კორფუ, რომელიც არის ადრიატიკის ზღვის გასაღები. უკანასკნელი გარემოება იწვევს სამხრეთ-სლავიის პრესის გულის წყრომას იტალიის მიმართ. ბალკანეთში ომის გაჩაღების შესაძლებლობა აიძულებს სამხრეთ-სლავიას მხარი დაუჭიროს საბერძნეთს ლოზუნგით: „ხავი ბალკანეთის ხალხებისათვის.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარ-გარეთელი კომუნისტები საქართველოში.

ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან: კომინტერნის აღმასკომის წევრი და იაპონიის კომპარტიის ბელადი ამხ. კატაიამა, გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირის ც. კ. წევრი—ამხ. ჰოპპე და ამერიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. გურვიჩი. ეს სამი ადამიანი, შეაერთა იატაკის ქვეშ საერთო მუშაობამ. ცხოვრობენ ისინი მშობლიურ მუშათა ოჯახის გარეშე, მაგრამ მხოლოთ და მხოლოთ ტირანიისაგან მისი განთავისუფლებისათვის.



ამხ. ჰოპპე.

ამხ. ჰოპპე,—გერმანიის ახალგაზრდათა კომკავშირის ც. კომიტეტის წევრი, ახალგაზრდა, ენერგიული ჭაბუკია. იგი არა მარტო მომავალს ეკუთვნის,—მას აქვს დიდი რევოლიუციონური სტაჟიც, და ჩვენთან ის მოხვდა მხოლოდ იმიტომ, რომ იძულებული იყო გაჰქცეოდა დევნას: იგი საპყრობილედან რუსეთში გაიქცა.

ამხ. ჰოპპეს, ჩვენ ვხედავთ 3 ნახ. წლის წამების შემდეგ, რომელიც მან გაატარა სენნენბურგის ციხეში. მხოლოდ ამას წინად ისარგებლა მან შვებულებით ციხიდან და მიაშურა თავის ავადმყოფ დას.

თუ როგორ ეპყრობიან მათ ჯალათი სოციალ-დემოკრატები, ეს შემდეგიდან სჩანს: როდესაც დაპატიმრებულებს ჰხოცავდნენ წყურვილით და მათ სცადეს პროტესტი განეცხადებიათ, ამის წინაალმდეგ კარებზე დაკაკუნებით, ციხის მცველებმა მათ უპასუხეს: ჩააფურთხეთ ერთი-მეორეს პირშიო...

პატიმრები ჩაცმულნი არიან გასვრილ სისხლიან ჩვრებში, რომლებიც გახადეს დასავლეთის ფრონტზე დახოცილებს.

ასეთი არის ციხეში ცხოვრება, მაგრამ არც გარეთ არის დიდათ უკეთესი მდგომარეობა.



ამხ. კატაიამა.

ამხ. კატაიამა, ძველი იაპონელი მუშა — კომინტერნის აღმასკომის წევრი, რევოლიუციის ვეტერანი, რომელიც 64 წლის ჰასაკში რევოლიუციონურმა ენტუზიაზმმა მხნეთ და მოძრავათ შეინახა.

ამხ, კატაიამას დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ რევოლიუციონურ ცეცხლის გაჩაღებაში, რომელმაც უნდა გადაბუგოს კაპიტალისტური იაპონია, საუბარი მასთან არ იქნება მთლიანი, თუ არ მოვიყვანთ ორიოდე ცნობას მისი ბიოგრაფიიდან, რომელიც გამოხატავს იაპონელ რევოლიუციონერის და იაპონიის ნორჩ კომუნისტურ პარტიის ეკლიან გზას.

ჯერ კიდევ 1904 წელს, როდესაც ძალიან გაწვავებული იყო შული იაპონიასა და რუსეთს შორის (ომის დროს) ამხ. კატაიამა მიემხრო კაპიტალისტურ ომის მოწინაალმდეგეთ.

სოციალისტურ პარტიებს ამსტერდამის კონგრესზე კატაიამამ იაპონიის პროლეტარიატის სახელით ხელი ჩამოართვა ამხანაგ პლეხანოვს.

— „იაპონიისა და რუსეთის მშრომელი მასსები არავითარი შულლით არ არიან განწყობილი ერთმანეთისადმიო“, ამბობდა ეს ხელის ჩამორთმევა.

და ამხ. კატაიამა განდევნა იაპონიის მთავრობამ თავის სამშობლოს საზღვრებიდან.

შემდეგი მისი მუშაობა არალეგალურ პირობებში სწარმოებს 1916 და 17 წლ. ამხ. ტროცკის, ბუხარინის და გურვიჩთან ერთად ის აწყობს ამერიკის სოც. პარტიის მემარცხენე ფრთას.

გარემოებანი აიძულებს მას გაიქცეს მექსიკაში—ასეთ ხეტიალში გაატარა თავისი სიცოცხლე იმ რევოლიუციონერმა, რომელიც სამშობლოში არ ყოფნის დროსაც ხელმძღვანელობდა იაპონიის მუშათა მოძრაობას.

ამხ. გურვიჩი.

ამხანაგი გურვიჩი—ძველი რევოლიუციონერია, ამერიკის კომუნისტურ პარტიის ცაკის წევრი, კომინტერნის მეორე კონგრესის დელეგატი. იგი ამხ. კტამაიასთან ერთად არალეგალურად მუშაობდა ამერიკაში.

სხვა და სხვა ამბები.

რუსეთ-რუმინიის მოლაპარაკება.

რუსეთ-რუმინიის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მოწონებულ იქნა რუსეთის დელეგაციის პროექტი ადგილობრივ კომისიების შექმნის შესახებ ორთავე სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, საზღვრების კონფლიქტების გადასაჭრელად.

ადგილობრივ კომისიების გარდა შესდგება საერთო ცენტრალური პარიტეტული კომისია, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავენ ორთავე სახელმწიფოები.

3 სექტემბერს შესდგებოდა კონფერენციის უკანასკნელი სხდომა, რომლის დროსაც ხელი უნდა მოეწერათ ხელშეკრულებაზე.

დანია.

დევნა კომუნისტებს ვერ შეაშინებს.

შესდგა საპროტესტო კომუნისტური მიტინგი, კომუნისტების დევნის წინაალმდეგ, რაც გამოწვეულია კომუნისტების მიერ საბანკო კომისიის საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ ინტრიგების საიდუმლო ანგარიშების გამოქვეყნებით. კომუნისტების ლიდერს ტაგერსენს მიუსაჯა სასამართლომ 200 კრონი ჯარიმა, „არბეიტერ ბლადეტის“ სასწრაფო ნომრის გამოშვებისათვის. პროვინციებში კომუნისტები ავრცელებენ გამოცემებს, რომლებიც ფარდას ხდიან ბლიუმის, სკავენიუსის და სხ. მოქმედებას.

ინდოეთი.

ინდოეთის რევოლიუციონერის განთავისუფლება.

გამოუშვეს ციხიდან ლაჯპატრაი—ერთი ინდოეთის ცნობილი რევოლიუციონერთაგანი.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.

საბერძნეთის პრემიერმა—ბენატარმა განაცხადა, რომ საბერძნეთის მთავრობა მზათაა დააკმაყოფილოს ყველა მისაღები მოთხოვნილებანი იტალიისა, მაგრამ არ შეუძლიან შეუთანხმდეს მას იმ მოთხოვნილებაში, რომელიც საზარალო იქნება საბერძნეთის პრესტიჟისათვის.

ერთა ლიგა—იტალიისა და საბერძნეთის შუამავალი.

ათინას პრესის ცნობით საბერძნეთის მთავრობას, სურს მიმართოს ერთა ლიგას შუამდგომლობით შუამავლობის შესახებ საბერძნეთ-იტალიის კონფლიქტზე.

ერთა ლიგის წესდების ძალით, უკანასკნელი ვალდებულია ხელი შეუწყოს, რათა ყოველგვარი კონფლიქტი ლიგის წევრებს შორის მშვიდობიან გზით გადაიჭრას.

მუსოლინი ერთა ლიგის ჩარევის შესახებ.

„დეილი მეილის“ ცნობით, საბერძნეთის მთავრობას განზრახული აქვს მიმართოს ერთა ლიგას, რომ ის ჩაერიოს კონფლიქტში. მეორეს მხრით მუსოლინი წინაალმდეგობას გაუწევს ყოველივე განზრახვას კონფლიქტის საერთაშორისო მსჯელობის საგნათ გადაქცევას.

ბულგარეთი

ბულგარეთის კომპარტიის მოწოდება.

ბულგარეთის კომპარტიის მოწოდებაში რომელიც მიმართულია მაკედონიის გლეხებისა და მუშებისადმი ნათქვამია, რომ თეთრი ტერორი ახშობს კომუნისტურ პრესას. „რაბოჩნიჩესკი ვესტნიკს“ 10 ჯერ უყვეს კონფისკაცია. ბურჟუაზია ჰქმნის ფარულ მებრძოლ ორგანიზაციებს, რომელშიაც აქტიურ მონა-

სარწმუნოება და ღმერთები.

(გაგრძელება იხ. „წ. არ. № 354,)

9.

ჩვენ დავინახეთ რა წამებას განიცდის ადამიანი სულის არსებობის დაჯერების გამო და რა უცნაური მსხვერპლი მიაქვს სულს საიქიოს მოჩვენებითი გამგზავრების დროს. დავინახეთ, აგრეთვე, როგორი წარმოდგენა აქვს ველურს სულის საიქიოს ცხოვრებაზე. ვიცით, რომ სარწმუნოება ოცნებით შენდება, ოცნების წარმოდგენაა და ოცნებით საზრდოობს. ისიც ვიცით, რომ ოცნებით წარმოდგენილი სახე უსხეულოა და ოცნებას ყველგან და ყველაფერი ელანდება. ამიტომ: ერთი რომ საბოლოოდ დარწმუნდეს სულის საიქიოს გამგზავრებაში, მეორეს აქ, ამ ქვეყნად მოელანდება სული და საზოგადო, ერთი წარმოდგენა ირღვევა.

სწორედ ამის გამო ვერ განსაზღვრა ადამიანმა სულის სამყოფელი. ოცნებამ ვერ მიუჩნია სულს განსაზღვრული არე არსებობისათვის და სული, სრულიად არ არსებული, გამოდგა ყოველგან არსებულად.

ზოგი ველურის წარმოდგენით სხეულის დასაფლავების შემდეგ სული კიდევ რჩება ამ ქვეყნად ერთი წლის ვადით. ზოგის ერთი თვით, ზოგის აზრით სული მხოლოდ ინახულებს საიქიოს და ისევ ბრუნდება და ამ ქვეყნად ხეტიალით კმაყოფილდება. ერთი სიტყვით, ადამიანის წარმოდგენაში უთვალავი სულები არსებობენ, ზოგი კეთილი, ზოგიც ბოროტი და მავნე—ეშმაკეული.

ვითომ იყოს აგრეთვე სული, რომელიც სხეულში არასოდეს არ ყოფილა. ეს მაღალი და ყველაფრის მცოდნე სულია, უსახოა და უსხეულო, ამიტომ უხილავი, და მცოდნე მეტის, ვინემ ადამიანის სულმა იცის. ეს სული, პირველყოფილ ადამიანის წარმოდგენაში, საიდუმლო სულია და მეტად აშინებს ადამიანს, მით უმეტეს, რომ უსხეულოა და ადამიანი ვერ ამჩნევს. დანარჩენი სულები კი ადამიანს წარმოდგენილი აქვს, როგორც ქარი, ორთქლი და ნისლი. ასეთი ნისლის და ორთქლის მატარებელი სულები აცოცხლებენ ადამიანს. ადამიანის სიკვდილის შემდეგ, ეს სულები მოგზაურობენ საიქიოსა და დედამიწის შორის განუწყვეტლივ; ზოგი სული შეაფარებს თავს რომელიმე საგანს სამუდამოდ ან დროებით. ასეთი საგანი ღვთაებრივათ ითვლება და მეტყველებს ისე, როგორც ადამიანი.

სხეულის სიკვდილის შემდეგ სულმა შეიძლება თავი შეაფაროს მცენარეს, ფრინველს, ცხოველს ან სხვა საგანს. შეიძლება ქვაც ამოირჩიოს და მას შეაფაროს თავი. აქ იბადება წმიდა საგნები, ცხოველები და ფრინველები, რომელთაც თაყვანს სცემენ ველურები. ასეთი სულით შეპყრობილ ცხოველ და ფრინველს ადამიანი ნადირობის დროს ხელს არ ახლებს, არ მოჰკლავს, პირ-იქით, თუ წმიდა სულს ატარებს ცხოველი, იმის შეხვედრა კეთილია ადამიანისათვის და ნიშანი გამარჯვების. ასეთი ცხოველები და ფრინველები კეთილი გზის მაჩვენებელია ადამიანისათვის. პირველყოფილი ადამიანი ცხოველშიც ძალას ჰხედავს და ცხოველსაც თაყვანს სცემს. ცხოველს, ველურის აზრით, შეუძლია იწინასწარმეტყველოს, რადგან ღმერთია და მაღალ სულთან დაკავშირებული. ალბად, ჩვენში დარჩენილი ჩვეულება მერცხალის და მტრედის წმიდა ფრინველებად აღიარება, ძველიდანვე იქნებოდა მიღებული. ძველი ჩვეულების ნაშთია აგრეთვე დარჩენილი, როცა ყვავის ძახილი ან ჭოტის კივილი ცუდის მომასწავლებლათ მიაჩნიათ.

ყველაზე დიდ ყურადღებას ველურ ქვეყნებში იპყრობს ფრინველები. აქ ფრენის უნარი ღვთაებრივ ძალას მიეწერება და დიდ საკვირველებას იწვევს ადამიანში. ეხლა ხომ ადამიანებმაც შესძლეს ფრენა! ველური ამას რას წარმოიდგენდა! ველურებს რომ ენახათ აეროპლანით ადამიანის ფრენა, ყოველი ავიატორი ღმერთი ეგონებოდათ და თაყვანის ცემას დაუწყებდენ.

ზოგ ველურ ქვეყნებში სჯერათ, თითქოს ქვეყანა მგელს შეექნას, დამხმარეთ აღიარებენ მთვარე. ჩვენში დღემდე ამბობს გადმოცემა, თითქოს დედა-მიწა უზარმაზარ კუს ზურგზე იყოს დაბჯენილი.

ფრინველებს შემდეგ დიდ ყურადღებას აქცევენ გველებს. გველი წყლის ღმერთად ითვლება უფრო ხშირად. როცა გველი პერანგს იცვლის ველურს უკვირს და ცხოვრების განახლებას მოელის. მას სჯერა აგრეთვე გადმოცემა, თითქოს გველები სიმდიდრის და დიდი საიდუმლოების მცოდნე იყოს. ჩვენშიც არის გადმოცემა, თითქოს გველს ალმასი ჰქონდეს და, ვისაც ეს ალმასი ჩაუვარდება ხელში, ის მდიდრდებოდეს. თითქოს ალმასი ოქროს ფულებს სდებდეს! რა გაუგებრობა არის?! სად გველი და სად ოქრო! სად შეუძლია გველს ოქრო დადვას, ან გონება ამას როგორ დაიჯერებს!

იყო ქვეყნები, სადაც სჯეროდათ, თითქოს დედამიწა ობობას გაეჩინოს. ამაზე უსაფუძვლო დაჯერება წარმოუდგენელია, მაგრამ უცოდინარობის დროს აწყვეტილი ოცნება რას არ დაიჯერებს!

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ხარი და კამეჩიც ღმერთებად წარმოედგინოთ და თაყვანისაცემლად დაესვათ. აკი იყო ეგვიპტეში ხარი წმინდანად ჩარიცხული!

დღეს ცხოველები და ფრინველები ზღაპრებშიაც არ სჯერად, როგორც ღმერთები. დღეს მხოლოდ ზღაპრებში და გადმოცემებში თუ იტყვიან, რა თქმა უნდა თავის გასართობად და არა დაჯერებით, რომ ქალი გედათ იქცა, ან გომბეშო მშვენიერ მზის უნახავ ქალწულად.

ან კიდევ, რომ სული განსხეულებულად წარმოიდგინოს, მეოცნებე ადამიანი არ კმაყოფილდება ცხოველთა სამეფოს მრავალფეროვნებით და ქმნის ფანტასტიურ სახეებს—ცხოველთა მსგავს და მიაწერს ცხოველთა თვისებებს, რა თქმა უნდა განდიდებულად. ასეთი ფანტასტიური, მხოლოდ ოცნებაში წარმოდგენილი ცხოველებით პირველყოფილ ადამიანის აზრით და ფიქრით სავსეა ქვეყანა და ზღვები. დევების და ქაჯების არსებობა ისე სჯერა პირველყოფილ და გაუნათლებელ ადამიანს, რომ ბევრი მათგანი დარწმუნებულია, თითქოს ენახოს კიდეც. აბა, რა გასაკვირია იმ ხალხში ასეთი დაჯერება, სადაც მიწისა და ქვეყნის შექმნას ობობასაც მიაწერენ, ან ვეშაპის ბოლოს მოქნევით სამყაროს დანგრევას მოელიან!

კიდევ მეტი, სადაც ხვლიკი მიწის ძვრის ღმერთად წარმოუდგენიათ, რა გასაკვირია, რომ ორთქლი და ნისლი იყოს წარმოდგენილი, როგორც სული. აქ ერთი საფუძველი და ერთი წყაროა: როცა დევის ან ობობას მიერ ქვეყნის შექმნას აღიარებს ადამიანი, საფუძველი მარტო ოცნებით საზრდოობაა და უცოდინარობა. სანამ ადამიანის გონება სრულ განვითარებამდე მიაღწევდეს, ბევრი ასეთი უსაფუძვლო დაჯერება იქნება და ბევრი ღმერთების გაურკვეველი სახე დაამძიმებს ადამიანის ოცნებას!

გ. ბაბურაული.

წილეობას იღებენ ვრანგელის მომხრეები.

მოწოდება მიმართავს შეჯგუფდენ კომპარტიის ირგვლივ, რომელსაც მხოლოდ შეუძლია მიაღწიოს მაკედონიის ავტონომიის გამოცხადებას.

ფინლიარდია

დახმარება დატუსაღებულ კომუნისტებს.

პროფკავშირების ცენტრალური სამმართველო მოუწოდებს მუშებს შეაგროვონ შემოწირულებები დატუსაღებულ კომუნისტებისათვის დახმარების გასაწევათ - დემოკრატიული პრესა სცდილობს დაარწმუნოს მუშები, რომ ასეთი შემოწირულებების ჩატარება ეწინააღმდეგება პროფ ორგანიზაციების მიზნებს.

გაზეთ „წითელი არმიელი“-ს რედაქცია და

კანტორა

ამით აცხადებს სამხედრო ნაწილების საყურადღებოდ, რომ ყოველ გვარი შემოწირულება, პროცენტული გადარიცხვა, საშეფო თუ სხვა ფული „წითელი არმიელი“-ს სასარგებლოდ

უნდა შედიოდეს პოლიტ-განყოფილების სალაროში,

საიდანაც სათანადო საანგარიშო წესების დაცვით გადაეცემა რედაქციას.

საჭიროა ყურადღება.

უმცროს მეთაურთა სკოლასთან არსებულ პოლიტხელთა კურსებზე მოიყარა თავი ნაწილებიდან სულ სამოცამდე კაცმა. მსმენელთა რიცხვი თან და თან იზრდება.

ხსენებულ კურსებზე კმაყოფის საქმე ძალიან ცუდად არის. რამოდენიმე დღის წინად ჩვენ ვღებულობდით პურს მახლობელ ფურნიდან. პური ისეთი ცომი მოგვდიოდა, რომ შეუძლებელი იყო მისი ჭამა. დიდი საჩივრების შემდეგ ამ მეპურეს თავი გაანებეს და შეუთანხმდენ ჩვენს ახლოს მყოფ მეფურნეს, მაგრამ ნათქვამია „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“-ისე მოგვივიდა. პირველად მეფურნე კარგს პურს გვაძლევდა, როგორც „ახალი ცოცხი“. შემდეგ თან და თან დასწია პურის ხარისხი და ბოლოს, ქვიშაც მოატანა შიგ.

მოვითხოვთ, მიქცეულ იქნას ყურადღება ამ მოვლენაზე ვისგანაც ჯერ არს და გაგვათავისუფლონ ამ დაუმსახურებელ სასჯელის—ქვიშანარევ ცომი პურის ჭამისაგან.

გ. ჯიხაიშელი.

გამოცდები მე-3- ლეგიონში.

ა. წ. აგვისტოს თვის 21-დან დაიწყო წითელ არმიელების გამოცდები პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწის მიერ. გამოცდებზე აშკარად სჩანდა წითელ არმიელების მომზადება.

წით. არმიელები ხალისიანად უპასუხებდენ კითხვებზე მცირედის გამოკლებით. ასე რომ—თუ გავითვალისწინებთ იმ პირობებს, რომელშიაც ეს მაცადინეობა სწარმოებდა, ლეგიონის წითელ არმიელთა „პოლიტ მაცადინეობის შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

აქ დასაფასებელია არა ერთი პიროვნების, არამედ ის კოლექტიური შრომა, რომელიც სწარმოებდა ლეგიონში. პოლიტხელთა და პოლიტ-შემადგენლობის მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ მიმავლისთვის გორკეცებულ ენერგიის მეოხებით ურფო მეტის გაკეთებას შევსძლებთ.

სუფსელი.

ახალგაზრდა თბილისი.

კვირას, 2 ენკენისთვეს, თბილისი აღარ იყო ძველი თბილისი. იგი ახალგაზრდაა ვით უწვერ-ულვაშო საქორწინოდ გამზადებული საცოლე ჭაბუკი.

ამ დღეს ვერ იცნობდით თბილისს.

მშვენიერი [illegible] დღე.

უკვე დღის 12 საათიდან ა. კ. კ. ცეკას წინ იკრიბებიან ახალგაზრდათა მწკრივები, ქართული ჯარის და რუსული ნაწილები, მუსიკა სცემს, სიმღერა გუგუნებს...

დღეს საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეა.

დღეს საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირი მეფეა ზეიმის, იგი შეჰხარის თავის დღესასწაულის...

საათის ორის ნახევარზე როგორც ჯარის ნაწილები, ისე კომკავშირელთა რაზმები დაიძრნენ კავშირის კლუბებისკენ (ყოფილი სამხედრო სობორო), რომელიც დღეს საგანგებოდაა მორთული. სამივე შესავალს ამშვენებს ახალ ყაიდაზე ნახატი „არკები“ წითელი დროშის მარაოებით.

გალავანი გირლიანდებში. ეზოში სასაფლაო—წარწერებით: „დენიკინი“ „კოლჩაკი“ „ფაშიზმი“ და სხვა ბევრი ამისთანები. კლუბის გუმბათზე წითლად ელავს ხუთკუთხა ვარსკვლავი, გუმბათს გარშემო მოაჯირი დროშებში და ჩირაღდნებშია.

სამრეკლოს წინ, ცის ქვეშ საგანგებოდ მოწყობილი სცენაა. კლუბში მიტინგი. მოდის და მოდის ათასნაირ სიმბოლოების გამოხატულება—ავტომობილები. მუსიკის გრიალში და ახალგაზრდა ყიჟინაში ისმის ბრძოლის იმედიანი ხმა. გრიმებში და კოსტიუმებში მოჰყავთ ძველი პოლიციელი, ფაშისტები, მღვდლები და ანტანტა. სარზე ჩამოცმული გაბერილი კაპიტალიზმი, ბურჟუაზია.

უყურებ ამ ალი ალმა—ფიგურებს და გიკვირს რა ხელოვანმა შეადგინა დღევანდელ დღის გეგმა და ეს ფანტაზია!

სცენაზე იწყება ამ გაკლოუნებულ ძველ მსოფლიოს დარაჯთა გამასხარავება, ცეკვა, სიმღერა... მოსეირნე და მაყურებელ ხალხის აღტყინებას სიხარულისას არა აქვს დასასრული! კალმით აუწერელი იყო ეს ზეიმი!

საღამოს ხომ გაჩირაღდნებულ ყოფილ სობოროს ვერარა შეედრებოდა. შუშხუნებს აშვება ბნელ წიაღში და... ახალგაზრდა კომკავშირის უკანასკნელი ქვა და გუნდა ღმერთებისადმი!

ამ საღამოს ერთხელ კიდევ გაამრაზეს დამბლა დაცემული „მეუფენი“ აქ დასწვეს ისტორიულ საგანძურს მოკლებული ხატები და სხვა იარაღები ხალხთა დაბრმავების...

სანი.

უმცროს მეთაურთა სკოლაში.

უმცროს მეთაურთა სკოლაში დაიწყო გამოცდები პოლიტ. და სანიტარულ საათის—კურსანტები ემზადებიან და სიხარულით ხვდებიან. შედეგები ჯერ ჯერობით კარგია. დაწვრილებით შემდეგ.

ე. ც.

მადლობა პირველ ლეგიონის მთელ შემადგენლობიდან ამხ. ფ. მახარაძეს და საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს.

1-ლ ლეგიონის წითელ არმიელები დაბა მანგლისში დათვალიერებულ იქმნა ამხ. ფ. მახარაძის მიერ, რომელმაც გაუგზავნა წერილი საქ. წითელ ჯვრის საზოგადოების კომიტეტს თხოვნით, ლეგიონისთვის რაიმე დახმარება გაეწია.

წითელ ჯვარმა ლეგიონს გამოუგზავნა ფულათ 143,670,000 მან. და შემდეგი ტანსაცმელები: 60-ხალათი, 50 თბილი პერანგი, 100 წყ. ბამბის წინდები, 10 ბამბის საბანი, 300 ცალი ფეხს-სახვევები, 20 ც. ჩასაფენი—5 ნახმარი, ბრეზენტები ლეგიონის წითელ არმიელებზე დასარიგებლად, რომელიც იქმნა განაწილებული ლეგიონის წითელ არმიელებზე.

მთელი შემადგენლობა: მეთაურები, პოლიტ-შემადგენლობა და წითელ არმიელები დიდ მადლობას უძღვნის ამხ. ფ. მახარაძეს და საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს. სალამი მათ პატივის ცემისათვის ჩვენდამი. სამაგიეროს ვსცემთ პატივს ჩვენი ერთგული და საჭირო დროს გადამწყვეტ ბრძოლაში თავდადებულობით.

ლეგიონის წითელ არმიელების მინდობილობით წითელ არმიელი

დონეშვილი.

2-რე ლეგიონის ცხოვრებიდან.

ჩვენი ლეგიონი უკვე შეუდგა ყაზარმების მოწყობას. საზ. ბანაკიდან დაბრუნების მოლოდინში. ამ ჟამად მიმდინარეობს ყაზარმების და „ტოპჩანების“ შეკეთება. წით. არმიელებიც მხურვალე მონაწილეობას იღებენ ამ საჭირო საქმეში.

26 აგვისტოს იქნა მოწყობილი კვირაობა, კვირაობაში მონაწილეობა მიიღო თითქმის მთელმა ლეგიონის შემადგენლობამ დაწყებული ლეგთავიდან და სამხკომიდან გათავებული წითელ არმიელამდე. სუყველა დიდი აღფრთოვანებით და გატაცებით მუშაობდენ, გაწმენდილი იქნა მთელი ლეგიონის ეზოს თითქმის ნახევარზე მეტი უბრალო ბორცვებისა და ბალახებისაგან და თხრილი 350 საჟენამდე რომელშიც იყო დაგროვილი სიბინძურე. მეორე კვირაობის გამართვა განძრახულია მოეწყოს ამ მოკლე ხანში დარჩენილი სამუშაოსთვის. ეს პირველი კვირაობა მაჩვენებელია იმისი, რომ მეორე კვირაობა მოეწყობა უფრო ფართედ და ჩვენი ლეგიონის ეზო და ყაზარმები იქნება გაწმენდილი ყოველ გვარ ავათმყოფობის გამომწვევ მიზეზებისაგან.

მუშაობის დროს უკრავდა ლეგიონის მუსიკა, მუშაობა დათავდა პირველ საათზე და წითელ-არმიელებმაც ნასიამოვნები სიმღერით გასწიენ კარვებისაკენ დარწმუნებული იმაში, რომ კარვობიდან ჩამოსვლის დროს მათ ყაზარმა ექნებათ მზად, შეკეთებული და ეზო გაწმენდილი.

სამწუხაროთ უნდა ავღნიშნოთ, რომ ხსენებულ მუშაობაში არსად სჩანდა მედპერსონალი საჭირო კი არის, რომ ასე ფრიად მნიშვნელოვან საქმეში პირველ მაგალითს იძლეოდეს მედპერსონალი.

პარტკორი: ა. გუჯაბიძე.

მენშევიკურ პარტიის დაშლა.

ამ უკანასკნელ კრებაზე უმცროს მეთაურთა სკოლაში სხვა მრავალ კითხვებთან, იყო საკითხი მენშევიკურ პარტიის დაშლის შესახებ. მოხსენება გააკეთა სამხკომმა ამხ. დონაძემ.

მოხსენება იყო მეტად საინტერესო და ღრმა შინაარსიანი.

—როგორც ჩვენი კურსანტები ისე პოლიტ-ხელთა მოსამზადებელი სკოლა აღფრთოვანებით შეხვდა მას.

მოხსენების შემდეგ იყო მრავალი როგორც სიტყვიერი ისე წერილობითი შეკითხვები.

დასასრულ ისმოდა ხმები გაუმარჯოს მუშათა თვით-გამორკვევას-გამოფხიზლებას.

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს და სხვა.

ე. ცომაია.

რაზმედ გვწერენ

უსადილოდ დარჩნენ.

2-რე ლეგიონის საკავშირო გუნდი, თავის უმცროსი მეთაურებით ირიცხება სურსათ-სანოვაგის კმაყოფაზე ამავე ლეგიონის სამნეო გუნდში. ა. წ. 14 აგვისტოს (წითელი ფიცის დღეს) იყო შტაბიდან ცნობა, რომ ამ დღისთვის უნდა ყოფილიყო საერთოდ მთელი ლეგიონის შემადგენლობისათვის გაუმჯობესებული კმაყოფა, რაიც მართალი გამოდგა. ამ დღეს დილით ჩვეულებრივად მიდის ზემოაღნიშნული საკავშირო გუნდის სურსათის დამრიგებელი სამნეო გუნდში სურსათის მისაღებად, სადაც ღებულობს ყოველივე ამ დღის მომატებულ სურსათს მთელი გუნდის შემადგენლობისათვის, გარდა სამი უმცროს მეთაურებისა. ამ უკანასკნელთა შესახებ ეუბნებიან, რომ თანახმად შტაბის მოწერილობისა, ისინი არიან მხოლოდ დღეისთვინ გადარიცხულნი მეთაურთა სასადილოში—ო) სადაც მიიღებენ სრულ დღევანდელ კმაყოფას ო. სწორედ დანიშნულ დროს სხვებთან ერთად, ხსენებული უმცროსი მეთაურებიც მიდიან სასადილოში და ეუბნებიან სასადილოს გამგეს: „ჩვენ დღეს სასადილოთ სამნეო გუნდიდან აქ ვართ გადმორიცხული“-ო, რაზედაც პასუხად ღებულობენ, რომ მე თქვენ სიაში არ მიწერიხართ-ო.

რამდენიმეჯერ იყო მათ მიერ ამ დღის სადილის შესახებ ჯეროვანი კვლევა-ძიება, ხან აღნიშნულ სასადილოს გამგესთან და ხან სამნეო გუნდის უფროსთან შეკითხვით, მაგრამ ხსენებულ კვლევა-ძიებას მოყვა შედეგად მათი იმ დღეს უსადილოთ დარჩენა.

ყველა ამ დღეს, როგორც მეთაურები, ისე წით.-არმიელებიც დიდ სიხარულს განიცდიდენ და გაუმჯობესებულ სადილს შეექცეოდენ, ამ სამ პიროვნებას-კი დიდი უკმაყოფილება ემჩნეოდათ სახეზე. იყო მათ მიერ გასაჩივრებითი ბარათი შეტანილი სამხკომის წინაშე, რომელმაც დაადო სათანადო რეზოლიუცია, რათა სასწრაფოდ ეცნობებიათ მისთვის თუ რად მოხდა ეს ასე, მაგრამ ამ ქაღალდმა როგორც სჩანს მისამართი დაჰკარგა და შედეგი დღემდისაც არ არის.

კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდენ ამ ქაღალდს და დამაკმაყოფილებელ პასუხს აღირსებდენ ზემოხსენებულ ამხანაგებს.

მინდობილობით

ქერულისპირელი.

პოლიტხელთა კურსები.

უკვე მეორე თვე დაიწყო, რაც გაიხსნა უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში პოლიტხელთა კურსები, რომელშიც ითვლება სამოცამდე კაცი, როგორც პროვინციის ისე ადგილობრივ სამხედრო ნაწილებიდან. კურსების უფროსია ამხ. გიორგაძე, რომელიც დიდს ენერგიას ხარჯავს კურსების გასაუმჯობესებლად, მაგრამ მარტოა, არა გვყავს ლექტორები და კურსანტები კი სცდილობენ სწავლის შეძენას.

მოკლე ხნითა ვართ გამოწვეულნი და მარტო ფეხთ წყობის სწავლას უნდებით...

ჩვენი კურსები მოთავსებულია საგარაკოდ წასულ სხვა ნაწილის ყაზარმაში და ბინის საკითხიც გამოურკვეველია; სადაცაა ჩამოვა ის ნაწილი, რომლის ბინაც ჩვენა გვაქვს დაბანდებული და არ ვიცი, სად მოგვათავსებენ.

ყველა კურსანტების თხოვნაა—მოგვექცეს ყურადღება, ვისგინაც ჯერ-არს!

ბ.

ახალი ამბები

შტატების გადასინჯვა.

ამხ. ქართველიშვილის და ამხ. არჩილ მიქაძის მონაწილეობით შესდგა კომისია ჯანმრთელობის კომისარიატის შტატის გადასასინჯათ.

ცენზურა საექიმო განცხადებებსა და რეკლამებზე.

ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა შემოღებულ იქნეს ცენზურა საექიმო განცხადებებსა და რეკლამებზე ექიმის პრაქტიკისა და ცენზის მიხედვით.

მცხეთის დასასვენებელი სახლი.

მცხეთაში მუშათა დასასვენებელი სახლი დაიხურება 1-ლ ნოემბერს. სხვა დასასვენებელ სახლების დახურვის დრო ჯერ არ არის გამორკვეული.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე.

ტფილისში 2 სექტემბერს დიდის ზეიმით ჩატარებულ იქნა ახალგაზრდა საერთაშორისო დღესასწაული.

კომისიის დანიშვნა.

ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილებამ დანიშნა კომისია საქართველოს სახალხო ბანკში არსებულ სამხედრო ხასიათის ნივთების ვარგისიანობის გამოსარკვევად, რომელიც იმყოფება საქ. სახ. კომისართა საბჭოს განკარგულებაში.

ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება.

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის დახმარებით მოეწყობა საქართველოში მყოფ ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება. პირველ რიგში 200 ლტოლვილი გაიგზავნება განჯაში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომპანია.

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში სასოფლო სამეურნეო გადასახადის კომპანია კარგად მიმდინარეობს. სასოფლო სიების შედგენა უკვე დასრულდა და გამოანგარიშებულია გადასახადის ჯამები.

სამაზრო საგადასახადო სამეულის შუამდგომლობა

სამაზრო საგადასახადო სამეულმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრალურ ხელისუფლების წინაშე რათა სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ მაზრებს: გორისა, ბორჩალოსი, ახალციხისა, ახალქალაქისა და თელავისას შეუმსუბუქდეს გადასახადი. რესპუბლიკის საგადასახადო კომისიამ ამ შუამდგომლობის გამო მოითხოვა აღნიშნული მაზრებიდან დამატებითი ცნობები.

მოსავალი თელავის მაზრაში.

სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობით თელავის მაზრაში წვიმებისაგან მიყენებული ზარალი აღწევს 50 პროცენტს. არის ადგილები სადაც მოსავალი სავსებით განადგურებულია.

გადასახადი ფულად.

საქართველოს რესპუბლიკანურმა კომისიამ ადგილებიდან მიღებული ცნობების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოსათვის უკვე გამოარკვია ფულადი გადასახადი ფუთ ხორბალზე. ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში ფუთი ხორბლის მაგიერ შეიძლება გადახდა 3.500.000 მან., თელავისა, ახალციხისა და ახალქალაქისათვის—3.000.000 მან.; გორისა, დუშეთისა, სიღნაღისა და სამხრეთ-ოსეთისათვის—2.500.000 მანეთი.

აღმასკომის თავმჯდომარის ავადმყოფობა.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სუხიშვილი ავადმყოფობის გამო წავიდა ორი თვით შვებულებაში. მისი თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დაინიშნა ამხ. ჟღენტი.

ტყის ექსპლოატაცია.

რკინის გზის სამმართველომ შეიმუშავა მიწად მოქმედების კომისარიატთან დასადები ხელშეკრულების პროექტი, სააგარაკო ტყეების ექსპლოატაციის შესახებ.

სახლები რკ. გზის მუშებისათვის.

რკინის გზის სამმართველომ გამოსცა ბრძანება რკინის გზის მუშებსა და მოსამსახურეებს შორის საერთო ბინებში ოთახების განაწილების შესახებ.

ლეგენდა სურამის ციხეზე.

მწვანე თექიანი სურამის მიდამოები მოფენილია თეთრი კარვებით.

მზე დასავლეთისკენ დაქანებულა და უკანასკნელად ჰკოცნის საშინელ ლეგენდის ციხის ლაჟვარდში აწვდილ ნანგრევებს.

მუხნარი და ნაძვნარი „როშჩები“ თითქოს ერმანეთს ეცილებიან მის ტრფობაში, შერკინებად იწვევენ და ეუბნებიანო:

„შესდექ რაყიფო თორემა.
განანებ იმის ტრფობასა,
საყვარელს შენ ვერ დაგითმობ
და აგიტეხავ ბრძოლასა“-ო.

ბაწია მდინარე ქვიდან-ქვებზე ხტის მოუსვენარად და მალბუნ შხეფებით თავში უფაჩუნებს ნაპირებზე უცხო ზღაპრებით მთვლემარე ბალახ-ყვავილებს; გეგონებათ ეუბნებოდეს:

„ნუ გძინავთ ტურფა ყვავილნო,
მიყვარს სიცოცხლე მზიანი;
მთიდან მოვხტივარ შიკრიკი,
სალამი მომაქვს გვიანი!..“

სით ტყით დაქანებული ემბორება დღის ვარჯიშით დაღლილ მოლაშქრეებს, რომელნიც ჩრდილში წამოწოლილან და ნეტარებით უმზერენ არეს...

იის თვალება ცისა კამარა მორცხვი პატარძლისავით გადმოჰყურებს ღიმილით.

სურამი ნამდვილი სამხედრო ბანაკია. აქაა ინტერნაციონალური ჯარი, ქართული, რუსული, ადერბეიჯანის, სომხის და... ყველგან გაისმის მუსიკა, სიმღერა, რომლის ჰანგებიც მიგაქანებთ სადღაც, შორს უხილაობისაკენ: ყიჟინა, ცეკვა... მხედრების ორბისებური მკლავთ გაშლა და თამაში...

სურამი საყვარელია ეხლა და სიცოცხლით სავსე, რომელსაც თავისი სტუმართ მოყვარე გული ქუჩები ხმაურობს...

თუ არა ჯარის აქ ყოფნა, სურამი ემგვანებოდა სევდიან მგოსანს, რომელიც ღრმად ჩაფიქრებულა ციხის ლეგენდაზე...

საღამოა. პატარა ექსკურსია კურსანტებისა და ლეგიონებისა შეუდგა ციხის ფერდობს.

— აი ამხანაგებო ის კედელი, ნესტიანი, რომელზედაც დანიელ ჭონქაძე სწერს თავის თხზულებაში.

— ვითომც მართალი იყოს ზურაბის ჩატანება?

— ეგ ლეგენდა, რომ არ შეეთხზა მწერალს, ისე ბატონყმობის შესახებ ხმას ვინ ამოიღებდა? მწერალმა მოხერხებულად მოუარა საკითხს და წარსულის ბურუსში გახვია სინამდვილე, რათა კატორღას აშორებოდა...

მუსაიფობდენ ერთმანეთში ექსკურსანტები.

— მე მაინც არა მჯერა.—ამბობდა ერთი კურსანტი.

— კი მაგრამ, ამბობენ, რომ წინად, კერპთ თაყვანის მცემლობის დროს, როგორც სხვა ერებში ისე ქართველებშიც იყო ჩვეულებად მსხვერპლის შეწირვა, და რა გასაკვირია, რომ მაშინდელ გაუნათლებელ ხალხს ექმნა ეს!

— მაგრამ იცით რა არის, ბიჭებო?—ჩაერია აქამდის გაჩუმებული გიორგი—ბევრჯელ ჩაუფიქრებივარ ამ ამბავს, თუ რატომ არაფერს გვეუბნება ავტორი კალატოზის შესახებ?

— რომელი კალატოზის?

— ვინ არ იცის, რომ საქართველოში ბევრი ისტორიული ციხეებია. ყველა მათგანს საიდუმლო ხვრელები აქვს დატანებული, რომელიც ეხლა დროთა ვითარების განმავლობაში ამოქოლვილია ლორლით.

— მერე?

— მერე და ის, რომ ყველა იმის ამშენებელი კალატოზი დამთავრების შემდეგ უგზო-უკვლოდ იკარგებოდა ხოლმე მაშინდელ ბატონების ბრძანებით, ალბათ იმიტომ, რომ ამ საიდუმლო გამოქვაბულებზე და ხვრელებზე არსად არაფერი წამოსცდენოდა. ალბათ ზურაბის ჩამტანებელ კალატოზსაც ეს დღე დაადგა.

— საშინელებაა! ჩამოსხდნენ ნანგრევებზე.

— რაც დასწერა ჭონქაძემ, იმისათვისაც კინაღამ კუკიის ხიდიდან გადააგდეს მტკვარში თავად-აზნაურებმა და მაგიც რომ დაეწერა, ვინ იცის მაშინ ჯვარზე გაეკრათ,—ჩაერია სიცილით ლეგიონერი ვანო.

— მართლა შალვა, აკი დაგვპირდი ამ ციხის ლეგენდის თქმას!

— კი მაგრამ, სად შევჩერდით?

— დურმიშხანი რომ დაშორდა ვარდოს და ოსმან აღას შეეყარა ძეგვის მიდამოებში.

— ტრრააა-ტუ-ტი-ტა-ტუუ - ტიტა-ტრააა!—

გაისმა ბუკი, ამ დროს, გაფანტულ წითელ არმიელების შესაკრებად.

— აი გესმით, საყვირი?! ჩვენი წასვლის დროა. შემდეგ იყოს.

— კარგი!

აიშალნენ.

— აბა ბიჭებო, ხომ იცით, თითქოს ზურაბის შეშლილი დედის ლანდი მოდიოდეს აქ ყოველ ღამ და უვლიდეს გარს ამ ციხეს მწუხარე სიმღერით, იცით არა?

— აბა დავსცხოთ!

და გაისმა მწყობრი სიმღერა მწუხრის ლეაქ გადაფარებულ სურამის წიაღში:

„სურამისა ციხეო,
სურვილითა განახეო;
ჩემი შვილი მანდ არის
კარგად შემინახეო!
ვაი-მე შვილო ზურაბო!“..

ს—ნ.

სამხედრო საქმე

რეკვიზიციის მოხდენა.

როდესაც მცირე რაზმს მიანდობენ რეკვიზიციის მოხდენას მტრულად განწყობილ დიდ სოფელში, რომლის ახლო დათარეშობენ პარტიზანული სპები, მაშინ შესაძლო იქნება სოფელში შესვლისას, მხოლოდ ბრძანება გაეცეს საჭირო სურსათ-სანოვაგის და საქონლის საკვების წარდგენის შესახებ და შემდეგ, შეიპყრობენ რა მძევლებს, მათთან ერთად გავლენ სოფელ გარეშე განსაზღვრულ პუნქტში და მოუცდიან დანიშნულ დრომდე ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ნაბრძანებ საგნების მოტანას. მხოლოდ ურმების და ცხენების საჩქაროდ მიღებისათვის, სპის უფროსი სათვალდევნოთ გააგზავნის მარიფათიან ათეულის უფროსს, რამდენიმე წ.-არმიელით.

დამფარ სპის უფროსს ატყობინებენ ყოველ არსებულ ცნობას მტრის შესახებ და რა დროს დასრულდება რეკვიზიცია; აქ უნდა შეეცადონ სანამ არ მიიღებენ ცნობას, რომ რეკვიზიცია დასრულებულია, მანამდე კი უნდა ეკავოთ დამფარი პოზიცია.

შესაფერ პოზიციას სპა შეარჩევს სოფლის წინ. სპის უფროსი, სანამ საბოლოვოდ აირჩევს პოზიციას, თითონ თავის თავი უნდა წარმოიდგინოს მოწინააღმდეგეთ და ივარაუდოს რეკვიზიცია, როგორ უნდა შეეშალოს ხელი და რა მიმართულებით იქნება საჭირო დამფარ სპაზედ იერიშის მიტანა. დამფარი სპისათვის უსარგებლოა ბრძოლაში ჩაბმა.

ამიტომ ყოველივე ზომა უნდა იქნეს მიღებული, რომ იგი აღმოჩენილი არ იყვეს; ყოველ გზაზედ გააგზავნიან ბერაებს, რომელნიც თავის დროულად შეატყობინებენ მოწინააღმდეგის მოახლოვების შესახებ.

თუ მოწინააღმდეგე შეტევაზედ მოდის, მაშინ სპის უფროსმა უნდა გადასწყვიტოს, შეუძლიან მას ბრძოლა რეკვიზიციის დამთავრებამდე, თუ საჭირო იქნება რეკვიზიციის შეჩერება და უკვე დატვირთული ურმების გაგზავნა.

ყოველ შემთხვევაში, სურსათ-სანოვაგით დატვირთულ რამოდენიმე ურმისთვის, გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმა არ ღირს.

ბრძოლა ახლო მანძილზედ არ უნდა აწარმოვონ, რადგან ამ შემთხვევაში ძნელია და ხშირად შეუძლებელიც ხდება მისი შეწყვეტა.

მოულოდნელად თავდასხმულ მტრის მოგერიება მეტად ძნელ ამოცანას წარმოადგენს, მეტადრე თუ მას მტრულად განწყობილი მოსახლეობა შეეშველება. ამ შემთხვევაში სუსტ სპას არაფერი დარჩება გარდა იმისა, რომ შეგროვდეს სოფელს გარეშე. შესაძლებელია წარმოსდგეს პირობა, როდესაც ხელახლა შეტევაზედ გადაუხდიან მისგან მიყენებულ მარცხს, დასჯიან რა თავისუფალ სპას ან სოფელს, ან კიდევ გამოიხსნიან დატვირთულ ურმებს მაინც.

გ. ბ.

მეცნიერება და ტეხნიკა

სურათის გადაღება წყალ ქვეშ.

არა ერთხელ სცადეს წყალ-ქვეშ სურათის გადაღება და დიდის ინტერესით ეწარმოებდა ეს საქმე სხვა და სხვა საფილმო საზოგადოებათა მიერ. ამ ცდებს მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა წინ, რომლების დაძლევა ერთობ უძნელდებოდა ტეხნიკას.

ამ ჟამად წყალში ყვინთაობის საქმე ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ, რადგანაც აუცილებელი შეიქმნა ომის დროს ჩაძირულ მრავალი გემის ზღვის ძირიდან ამოზიდვა, და სურათის გადაღების საქმე დიდ სიღრმეებში შესაძლებელი გახდა.

საყვინთაო მოწყობილობის, ე. ი. ტანისამოსების და ზარების უმთავრესმა ნაკლებმა, რომლებიც ნებას არ აძლევდა დიდ სიღრმეებში წინააღმდეგობა გაეწიათ წყლის სვეტის ძლიერი დაწოლისათვის აიძულა ტეხნიკა აეშენებია ფოლადის, ჩასაშვები საკნები, რომელსაც კავშირი ჰქონდა წყლის ზედა პირთან უზარმაზარი დიამეტრის მილით. ეს მილები ეშვებიან მუშა ნავებიდან, შიგნიდან ისინი მოწყობილი არიან კიბით და, ჰაერის ბუნებრივი ცირკულიაციის გამო, საჭირო არ არის ხმარება სასუნთქავ აპარატებისა, რომლებიც ხელს უშლიან მუშას მოძრაობაში. უკანასკნელი საკანი მოწყობილია გარედან მუშაობისათვის საჭირო ოწინართა მოწყობილობით, რომლებიც საჭიროების და მიხედვით, მოძრაობაში მოჰყავთ შიგნიდან.

ამ მოწყობილობის მიხედვით, აზრი დაებადა ამერიკის კინო ტეხნიკას—გამოეყენებია ის წყალქვეშ სურათის გადაღების საქმეში. უკანასკნელ ფოლადის საკანის კედელში ჩადგმული იყო საკმაოდ სქელი შუშა რომ წყლის დაწოლისთვის გაეძლო. სურათის გადაღებისათვის აუცილებელი საჭირო სინათლე ეძლეოდა ეხლახან ხმარებულ ზღვის ძირის განსანათებელ მოწყობილობით—სპეციალურ კინო-ფანრებით, რომლებსაც ეძლეოდათ ჩქერი განმხოლოებულ ელექტრიული კაბელის საშვალებით.

ამ რიგად გადაღებულ იქნა პირველი წყალ-ქვეშა ფილმა „წყალ-ქვეშა ქვეყნის სასწაულები“, რომელიც მშვენივრად გადმოსცემდა წყლის სიღრმეების ორგანიულ ცხოვრებას, სადაც დღემდის ადამიანის თვალი ვერ სწვდებოდა.

გარდა იმ დიდის ინტერესისა, როცა უყურებ მაგ. მყვინთავის ბრძოლის სცენას უზარმაზარ თევზებთან, ფილმას აქვს დიდი მეცნიერული ინტერესი. ჩვენ გვეძლევა საშვალება თვალი ვადევნოთ ცხოვრებას აქტინიებს, მარჯნების, ღრმა წყლის მცხოვრებლების და მცენარეებს-არა ჩვენს შინაურ აკვარიუმებში, არამედ მათ ნატურალურ გარემოში.

ჰაეროპლანი და თევზები.

რამდენი დრო გადის, იმდენად ფართოდ მიდის ჰაეროპლანების შეიდობიან ცხოვრებაში ხმარების საქმე და ეს ხმარება ხდება მრავალგვარი და მოულოდნელი.

ვის მოუვიდოდა აზრად აეროპლანის ხმარება თესვის საქმეში? მაგრამ სხვათა შორის ამ ბოლო დროს ვიცით, რომ შაქრის პლანტაციების კავშირმა კუნძულ გავაიზე დაიქირავა ჰაეროპლანი მაღალ კონცხებზე და მთების უღელტეხილებში ხეების თესლის დასათესად- ამ ხეების ტყემ უნდა შეინახოს მთის წყაროები, რომლებიც აწვდიან წყლებს პლანტაციებს და კუნძულის მოსახლეობას.

ინგლისური თევზის მჭერავთა კომპანიები საავიაციო სამინისტროს მიერ მიცემულ ჰაეროპლანების საშვალებით უთვალთვალებენ თევზების მოძრაობას ზღვაში. საქმე იმაშია რომ მაღლიდან წყალში რამოდენიმე სიღრმეზე მოსჩანს ყველაფერი, იმ დროს, როცა გვერდიდან წყლის ზედაპირი გვიჩვენებს მხოლოდ ცას და სიღრმეში არაფრის დანახვა არ შეიძლება.

„რაბოჩაია პრავდა“

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.